




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 194

2011 წლის 21 დეკემბერი

ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელი
პროგრამის დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-16
მუხლის მე-2 პუნქტის ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ აღზრდის სფეროში
განსახორციელებელი პროგრამა საერთო ბიუჯეტით 553800
(ხუთასორმოცდაცამეტიათასრვაასი)
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის
მუნიციპალიტეტის საკრებულოში რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ.
#13) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ აღზრდის სფეროში განსახორციელებელი პროგრამა

დაგეგმილია, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლამდელი აღზრდის სფეროში 13 არასამეწარმეო იურიდიული პირის _ (№1, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13 საბავშვო ბაღების) ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ქ.ხაშურში განთავსებულია №1---№8 საბავშვო ბაღები, №9 _ დაბა სურამში, №10 _ სოფელ ცხრამუხაში, №11 _ სოფელ გომში, №12 _ სოფელ ოსიაურში, №13 _ სოფელ ალში.

პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა თანადაფინანსებას სასწავლო პროცესში და დაფინანსებას არასასწავლო პერიოდშიც, თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს დაწესებულებებში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას და კვებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, რაც მთლიანობაში მშობელთა მიერ გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

პროგრამის ხანგრძლივობა

2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო **553800** ლარი, რაც გათვლილია 923 ბავშვზე; თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მონაცემები გასულ წელს სამუშაო თვეებში ბავშვთა ფაქტიური დასწრების სიდიდის შესახებ, ხოლო თუ მოხდა ბავშვთა რაოდენობის 20%-ით შემცირება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს.

№	აღსაზრდელთა რაოდენობა	ვაუჩერის რაოდენობა თვეში	სუბსიდია თვეში	სუბსიდია სულ წელიწადში	სუბსიდია სულ წელიწადში
1	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #1	123	50	6150	73800
2	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #3	95	50	4750	57000
3	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #4	127	50	6350	76200
4	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #5	130	50	6500	78000
5	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #6	84	50	4200	50400
6	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #7	110	50	5500	66000
7	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #8	42	50	2100	25200
8	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #9	89	50	4450	53400
9	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #10	35	50	1750	21000
10	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #11	20	50	1000	12000
11	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #12	33	50	1650	19800
12	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება #13	35	50	1750	21000
	სულ	923		46150	553800

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო **553800** ლარი, რაც გათვლილია 923 ბავშვზე; თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მონაცემები გასულ წელს სამუშაო თვეებში ბავშვთა ფაქტიური დასწრების სიდიდის შესახებ, ხოლო თუ მოხდა ბავშვთა რაოდენობის 20%-ით შემცირება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

_ მოსახლეობისათვის სკოლამდელი აღზრდის სფეროს მომსახურეობის ხელმისაწვდომობა.

_ მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება.

_ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა.